უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 23

20 13წ. "10" 10

ქ.თბილისი

შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარებში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 56³-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-13 მუხლის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206046045) 2013 წლის 3 დეკემბრიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.
2. შპს - თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 750-ით, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 20-ით.
3. შპს - თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის პირველი აგვისტოს №4 სხდომის ოქმის მე-3 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ნინო ჩინჩალაძე

მდივანი
ანა ბახტურიძე

დანართი

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ბაკალავრიატი	1. სამართალი 2. ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა 3. ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა (უცხოენოვანი - რუსულენოვანი) 4. ევროპეისტიკა	1. სამართლის ბაკალავრი 2. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი 3. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი 4. ფილოლოგიის ბაკალავრი
მაგისტრატურა	1. სლავური ფილოლოგია (უცხოენოვანი - რუსულენოვანი)	1. ფილოლოგიის მაგისტრი
ერთსაფეხურიანი	1. დიპლომირებული სტომატოლოგი 2. დიპლომირებული სტომატოლოგი (უცხოენოვანი - რუსულენოვანი)	1.დიპლომირებული სტომატოლოგი 2. დიპლომირებული სტომატოლოგი

პროფესიული პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1.	კბილის ტექნიკოსი	მესამე	კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
2.	კბილის ტექნიკოსი	მეოთხე	კბილის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
3.	კბილის ტექნიკოსი	მეხუთე	კბილის ტექნიკოსის მეხუთე	30

			საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	
4.	ინფორმაციული ტექნოლოგი	მესამე	ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	40